საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030112141925317

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/28401 **03 / მაისი / 2017 წ.**

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის
უფროსს ბატონ ანზორ ჩუბინიძეს

ასლი: სსიპ საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტოს უფროსს
ბატონ დავით სალაღაიას

ბატონო ანზორ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 5 მაისს დაგეგმილია ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ–მინისტრის მოადგილის ბატონი ვასილი ჟარკოს ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დონაციისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელების პროცესში გამოუყენებელი 1,500 ბოთლი „სოვალდის“ (სოფოსბუვირი) ბელარუსის მხარისთვის დონაციის გზით, უსასყიდლოდ გადაცემას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მხარდაჭერასა და განმტკიცებას.

ბელარუსის რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში არიან:

1. ვასილი ჟარკო (Vassily Zharko) – ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ–მინისტრის მოადგილე (პასპორტის ნომერი: DP0009971);
2. ანატოლი გრუშკოვსკი (Anatoli Hrushkousky) – ბელარუსის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი (პასპორტის ნომერი: SP0016400);
3. ვიაჩესლავ გნიწი (Viachaslau Hnitsiy) – ფარმაცევტული კომპანია RUP “BELPHARMATSIYA”-ს გენერალური დირექტორი (პასპორტის ნომერი: AB2781813).

ზემოაღნიშნული პირების დახვედრა-გაცილების მიზნით, გთხოვთ, დახმარებას საქართველოს საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო VIP გასასვლელით სარგებლობის, ბელარუსის რესპუბლიკის საელჩოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავტომანქანების თვითმფრინავის სადგომთან მისვლის ნებართვისა და კვებით უზრუნველყოფის თაობაზე.

დელეგაციის ჩამოსვლა: 5 მაისი, 02:50 საათი, რეისი – B2735
დელეგაციის გამგზავრება: 6 მაისი, 03:45 საათი, რეისი – B2736

დელეგაციის წევრების დახვედრა–გაცილებას უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ივანე ბიბილაშვილი, ბელარუსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი მიხაილ მიატლიკოვი, საელჩოს პირველი მდივანი ქალბატონი ინესა პავლოვსკაია შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით:

Mercedes (073CMD1),Toyota Camry (GWG100), Toyota (073D003).

მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და დახმარებისთვის.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ნინო ბერძული